

ლილი მეტრეველი

Lili Metreveli

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Caucasus International University

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ქართული ფემინისტური დისკურსის ფორმირება (ტექსტი და კონტექსტი)

The Formation of Georgian Feminist Discourse (Text and Context)

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10014>

The first wave of feminism, which was formed in the West from the second half of the 19th century, aimed at the political, social, and economic emancipation of women, the rethinking of traditional gender roles, and cultural stereotypes, was also responded to by fiction, mainly by female authors. Simultaneously with the emergence and development of Western feminism, the generation of the sixties in Georgia activated the idea of the Europeanization of Georgian culture and the modernization of literary and social thought. One of the strategic directions of this process was the struggle for women's civil rights and support for their creative emancipation. One of the themes of the publicistic works of Ilia, Akaki, Giorgi Eristavi, Niko Nikoladze, Archil Jorjadze, and others was the importance of women's self-realization.

Based on the study of the journalistic letters, personal correspondence, autobiographical notes, and public activities of Georgian women authors active in the second half of the 19th century and the 10s of the 20th century, and at the same time, an analysis of Ekaterine Gabashvili's play "The Wing-breaker", we can conclude that Georgian women used all public platforms to voice their opinions. Although a large part of the problems raised by women writers (desacralization of women, misinterpretation of women's mental abilities and their psycho-emotional nature, unfair distribution of gender roles) remained unresolved, the struggle of women ended with concrete results in the late 10s of the 20th century. After the establishment of the First Democratic Republic of Georgia, 17 women ran for office in the Constituent Assembly elections held in 1919 on behalf of various parties, of whom 5 – Minadora

Ordzhonikidze-Toroshelidze (1879-1967), Elisabeth Nakashidze-Bolkvadze (1885-1937), Eleonora Ter-Parsegova-Makhvidze (1875-date of death unknown), Anna (Ola) Sologashvili (1882-1937), Kristine (Chito) Sharashidze (1887-1973) – were elected members. Two of them - Elisabeth Nakashidze-Bolkvadze and Anna (Ola) Sologashvili – were shot by the Soviet authorities in 1937 on charges of counter-revolutionary activities and "chauvinistic sentiments". The actualization of gender themes by Georgian women simultaneously with the European feminist school (and in some cases even earlier) should be considered a most important event for the history of Georgian feminism, an organic part of which is the gender policy of the Soviet Union and its literary reflection.

საკვანძო სიტყვები: ქალების ემანსიპაცია, ფემინიზმი, ქალი მწერლები, ქალის ხმა

Keywords: Women's emancipation, Feminism, Women writers, Women's voice

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთში ფორმირებულ ფემინიზმის პირველ ტალღას, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ემანსიპაციას, ტრადიციული გენდერული როლებისა და კულტურული სტერეოტიპების გადააზრებას, გამოეხმაურა მხატვრული ლიტერატურაც, უმთავრესად ქალი ავტორები. დასავლური ფემინიზმის ჩასახვისა და განვითარების თანადროულად, საქართველოში სამოციანელების თაობა ააქტიურებს ქართული კულტურის ევროპეიზაციის, ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების მოდერნიზაციის იდეას, ამ პროცესის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად იქცა როგორც ქალების სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა, ისე მათი შემოქმედებითი ემანსიპაციის მხარდაჭერა. ილიას, აკაკის, გიორგი ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძისა და სხვათა პუბლიცისტიკის ერთ-ერთი თემა სწორედ ქალთა თვითრეალიზების მნიშვნელობა ხდება. ქართველმა სამოციანელებმა დაიწყეს წერილების გამოქვეყნება იმ პერიოდისთვის ყვე-

ლაზე რეზონანსულ სოციალურ პლატფორმებზე, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში („დროება“, „ივერია“, „განთიადი“).

წერილში *„დედათა საქმე და ქალთა განათლება“ ილია ჭავჭავაძე* საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ქალების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების არამართებულობასა და ამ მიდგომის ევროპულ ღირებულებებთან შეუთავსებლობაზე. ილია უსამართლობად მიიჩნევს ქალების გენდერული ფუნქციის დავიწროებას, მათთვის მხოლოდ დიასახლისის, ცოლისა და დედის სტატუსის მინიჭებას, ქალების გონებრივ შესაძლებლობებში დაეჭვებას. ილია მისთვის დამახასიათებელი კატეგორიულობით მოუწოდებს ქალებს განათლების მიღებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართვისკენ:

„დედაკაციც ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლებების საქმე უნდა ჰღაღადებდეს და თხოულობდეს თავის წარმართვასა, ამ ფართო გზაზე დგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია ვერაფერ სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილსა და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის უღელი გააწევიონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ“... განა ქალი არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისთვის, აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივი ინტერესებისთვის, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, უკვე განათლებული ჰკუთნა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში მისთვის საჭირო იქნებაო“ (ჭავჭავაძე, 1889: <https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/12/13/dedatha-saqme-da-qaltha-ganathleba/>).

გენდერული ემანსიპაციის დასავლურ გამოცდილებას მიმოიხილავს 1866 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ *წერილში „დედა-კაცის აზრი დედა-კაცზედ“*, გიორგი წერეთელი ქალებისთვის ღირსების აღდგენის უმთავრეს პირობად მამაკაცების დაქვემდებარებულობისგან ქალების გათავისუფლებას, მათთვის განათლების მიღების შესაძლებლობისა და ფინანსური დამოუკიდებლობის მინიჭებას მიიჩნევს.

„ყოველი ჭკვიანი ქალი და კაცი ევროპასა და ამერიკაში ებრძვის საზოგადო წყობილებას და იმის ჩვეულებას დედა-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის... დედაკაცი გათავისუფლდეს მამაკაცის ნივთიერებითის დამოკიდებულებისაგან და ის უფლება მიენიჭოთ, რომელიც მამაკაცს აქვს, რასაკვირველია, ამგვარი თავისუფლება დედაკაცს მიაწიჭებს ნამდვილს კაცურ ღირსებას და ამასთან იმის დაჩაგრულს მდგომარეობას აღადგენს“ („დროება“, 1866, N 5).

ნიკო ნიკოლაძე და არჩილ ჯორჯაძე ქალთა საკითხების შესახებ მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებენ გაბატონებულ სოციალურ და კულტურულ ნორმაზე, გენდერულ სტერეოტიპებზე, რომელიც ქალს ისტორიულად ან „მონად“ წარმოგვიდგენს, რომლის ერთადერთი ფუნქცია პატრიარქალურ წესრიგში მამაკაცისთვის სიამოვნების მინიჭება და მისი მორჩილებაა ან ქალი აღქმულია საკრალიზებულ არსებად, პოეზიის ობიექტად, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება რეალური ქალისგან:

„განა მისი გაჩენის წუთიდან თქვენ არ მირჩიეთ, ისე უცქიროთ მას, როგორც მომავალ მონა ქალს, როგორც მანქანას, რომელიც დანიშნულია თქვენი „ვნებისა და სურვილის“ დასაკმაყოფილებლად... იმისთვის, რომ იგი თქვენი მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდეს, თქვენ გამოსწუწნეთ მისი თავიდან ტვინი და გამოუტენეთ იგი რაღაც ნაგვით... ქალთა გონებრივ შესაძლებლობას არ გააჩნია სრულიად არავითარი გამოსავალი, გარდა ოცნებისა“ (ხომერიკი, ჯავახიშვილი, 2005, გვ. 8-9).

„ჩვენ, ქართველები, ქალის შესახებ არასოდეს არ ვლაპარაკობთ სერიოზულად. უმეტეს შემთხვევაში ვლაზღანდარაობთ. ...ჩვენ, მამაკაცები, ქალს თითქმის სრულიად არ ვიცნობთ. ჩვენი აზრი ქალის შესახებ შემუშავებულია ლიტერატურის ზეგავლენით. და ვისაც ლიტერატურული აღზღდა აკლია, იგი თვითონ ჰქმნის ქალის სახეს, თანახმად თავისი საკუთარის იდეალებისა და გემოვნებისა და არა თანახმად სინამდვილისა, რომელშიაც ჩახედვა, ამ ახირებულ იდეალისტურ მიდრეკილებების გამო, კაცს არ ძალუძს. ის ქალი კი, რომელიც სინამდვილეში არსებობს, სრულიადაც არ ჰგავს, პოეტების მიერ შექმნილ და ყოველ მამაკაცისაგან შეწყნარებულ ქალის ტიპს“ (ჯორჯაძე, 2022, გვ.114).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა სამოციანელებმა დასავლური ფემინიზმის ყველა აქტუალური საკითხი თანადროულად გააჟღერეს და მიუთითეს ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ სივრცეში ევროპული იდეების დამკვიდრების, მათ შორის გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების აღიარების, მნიშვნელობაზე. მათი ორგანიზებული კამპანია ორ მიზანს ემსახურებოდა: უპირველესად, იმ იდეის ხაზგასმას, რომ ქართული ლიტერატურული აზრი რეფლექსირებს დასავლურ სამეცნიერო და ლიტერატურულ სივრცეში არსებულ ყველა მნიშვნელოვან გამოწვევაზე, შესაბამისად, ქართული კულტურა ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილია¹, ხოლო, მეორე მხრივ, სამოციანელების ამოცანას ქართველი ქალების საზოგადოებრივ და კულტურულ (მათ შორის ლიტერატურულ) პროცესში ჩართვა წარმოადგენდა.

იმდენად, რამდენადაც ილია და მისი თანამოაზრეები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საზოგადოების მეინსტრიმულ ფრთას წარმოადგენდნენ, მათი მხარდჭერის მოპოვება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა ქალი ავტორებისთვის მკითხველის კეთილგანწყობილებისა და მიმღებლობის მოსაპოვებლად, შესაბამისად, ეტაპობრივად ქალები სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და ქართული ლიტერატურული პროცესის განუყოფელ ნაწილად იქცნენ. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან შემოქმედებით სივრცეს აქტიურად უერთდებიან ბარბარე ჯორჯაძე² (1833-1895 წწ.), ეკატერინე

¹ საინტერესოა, რომ ახალგაზრდა ქართველმა სტუდენტმა, ნიკო ინაშვილმა, რომელმაც განათლება თბილისის სასულიერო სემინარიის შემდეგ კიევისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში მიიღო, ქართულად თარგმნა ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის ცნობილი ტექსტი „ქალთა დაქვემდებარება“ წიგნის გამოსვლიდან იმავე წელს, რომელიც 1869 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ მაისი-ივნისის თვის N 5-6 ნომერში. თარგმანის წინასიტყვაობასა და კომენტარებში მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დასვა ქალთა ემანსიპაციის პრობლემა (<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00015250/>). „ქალის დამონება ერთი ორად ხდება შეუწყნარებელი, ავარჯიშეთ ქალის ნიჭი ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას და თქვენ დაინახავთ, რისი შემძლებელიც არის ქალი. გაუღეთ მას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქმნება ისეთივე გონიერი და კეთილ-საიმედო მოქალაქე, როგორც ერთ-ერთი ჩვენთაგანი. ქალს უნდა მიენიჭოს ისეთივე თავისუფლება, როგორიც აქვს მამაკაცს“, – ნიკო ინაშვილი („მნათობი“ 1869: N5-6 – https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/384148/1/Mnatobi_1869N5-6.pdf)

² „ბარბარე ჯორჯაძე იყო „პირველი მერცხალი“, ვის შემდეგაც ჟურნალმა ცისკარმა ფართოდ გაუღო კარი სხვა ქართველ მწერალ ქალებს – სალომე მაყაშვილს, მარიამ და ეკატერინე ერისთავებს, ნინო ორბელიანს, ნინო აბაშიძეს, ეკატერინე დანდუროვს

გაბაშვილი (1851-1938), ანასტასია ერისთავი ხომტარია (1868-1951 წწ.), კატო მიქელაძე (1878-1942 წწ.) მარიამ გარიყული (1883-1960), ლიდია მეგრელიძე (1883-1968), ბაბილინა ხოსიტაშვილი (1884-1973 წწ.) ანა ხახუტაშვილი (1886-1960), საფო მგელაძე (1894-1936) და სხვ.

ქართველი ქალები არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და აქტივიზმით ადვოკატირებას უწევენ ფემინისტური პრობლემების გაშუქებას. ქართველი ფემინისტების სტრატეგიული ამოცანა ქალების საგანმანათლებლო და კულტურულ პროცესებში აქტიური ჩართვა იყო, ამ მიზნით ეკატერინე გაბაშვილმა საკუთარ სახლში გახსნა ჭრა-კერვის სკოლა, რაც ღარიბი და ობოლი გოგონებისთვის პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა აღმოჩნდა. ამავე დროს ეკატერინეს სახლი ქართველი ფემინისტი მწერალი ქალების თავშეყრისა და შემოქმედებითი იდეების გაზიარების სივრცედ იქცა. მნიშვნელოვანია ქალი მწერლების აქტიური თანამშრომლობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, მათ მიერ სხვადასხვა დროს ქალთა გაერთიანებების, კლუბების¹ („ქართველ ქალთა ამხანაგობა“, „ქალთა კლუბი“, „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „ქალთა ინტერპარტიული კლუბი“) დაფუძნება, საბავშვო ლიტერატურული ჟურნალების („ჯეჯილი“, „ნობათი“, „ნაკადული“) დაარსების მხარდაჭერა და პერიოდული გამოცემების სარედაქციო ჯგუფის წევრობა², სხვადასხვა რეზონანსული ლიტერატურული კრებულების/თარგმანების გამოცემა („თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“³ – 1870 წ., „ქართველ მწერალ ქალთა აღმანახი“⁴ – 1925 წ.).

და სხვ.“ – აღნიშნავს გენდერული საკითხების ქართველი მკვლევარი თამარ ციციშვილი ბარბარე ჯორჯაძის შესახებ ვრცელ წერილში (ციციშვილი, 2015, გვ. 168-169).

¹ 1870 წელს ეკატერინე გაბაშვილმა დაარსა „ქართველ ქალთა ამხანაგობა“, 1895 წელს ჩამოყალიბდა „ქალთა კლუბი“, 1916 წელს – „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, ხოლო 1918 წელს – „ქალთა ინტერპარტიული კლუბი/ლიგა“.

² მაგ. ეკატერინე გაბაშვილი ცხოვრების ბოლომდე იყო ჟურნალ „ჯეჯილის“ სარედაქციო ჯგუფის წევრი.

³ „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ გამოიცა 1872 წელს, 1870 წელს ეკატერინე გაბაშვილის, ეკატერინე მელიქიშვილისა და ელენე ყიფიანის მიერ დაარსებული „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ მიერ. „რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელ ავტორთა თარგმნასა და გამოცემას. კრებულში შესულია „პარიჟელი ბიჭი“ (ნაწევები ვ. ჰიუგოს რომანიდან „საბრალონი“), „ამერიკელი ქალები XVIII საუკუნისა“, „ჟულ ტარრო“ და „უკანასკნელი დღენი ნათანიელ როსსელისა“. გამოცემას სეროზული რეზონანსი მოჰყვა, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა ქართველ ქალთა გააქტიურებას საზო-

საზოგადოებრივ მოძრაობაში ჩართვის პარალელურად ქალი მწერლები პუბლიცისტურ წერილებსა თუ პირად მიმოწერაში, ასევე ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში აქტიურად ალაპარაკდნენ ქალების მულტიფუნქციურ როლზე მასკულიზურ საზოგადოებაში, დაოჯახებული და ამავე დროს შემოქმედი ქალის გამოწვევებზე, პირადი სივრცის (საკუთარი ოთახის) უქონლობაზე, იმ წინააღმდეგობრივ პროცესზე, როგორ ცდილობდნენ მიკრო და მაკრო სოციუმისგან შინაგანად გაუცხოებულნი, მათი პროფესიების, შემოქმედებითი ნიჭის, ერთი მხრივ, დაცვას, მეორე მხრივ, კი სოციუმისგან აღიარების მოპოვებას.

„და ვცხოვრობ ამ ჩემს დაბალჭერიან კოლოფში შვიდი წლის განმავლობაში. გულს მაინც არ ვიტყხ და განვაგრძობ მუშაობას – არის ისეთი დღეებიც, რომ მე ამას ვერ ვახერხებ. განსაკუთრებით ზამთარში ყველა ერთ ოთახში ვიყრიტ თავს, სადაც ნავთქურა ანთია. დედაჩემი ჩემს ბავშვს ელაპარკება და მისი სიტყვები რვეულში შევიტანე, ვშლი, ისევ თავიდან ვიწყებ. – ნუ მიშლით, დაჩუმდით, – ვეუბნები მათ და ვჩქარობ მოვათავო დაწყებული თავი...“ (მგელაძე, 2025, გვ. 83-84).

ქალების რიტორიკა განსაკუთრებით მწვავე იყო იმ დისკრიმინაციული დისკურსის მიმართ, რომელიც მას გენდერულ ფუნქციას მკაცრად უდგენდა, მისგან მხოლოდ მორჩილებასა და მსახურებას მოითხოვდა, გარდა ამისა, გაუბედავ, უუნარო, ფსიქო-ემოციურად სუსტ, ინტელექტუალურად უმწიფარ და მხოლოდ მამაკაცის სექსუალური ლტოლვის დასაკმაყოფილებელ არსებად განიხლავდა, მწერალი ქალების ბრალდების მთავარი ობიექტი თავად მამაკაცია, რომელიც, მათი აზრით, პატრიარქალურ წესრიგის მთავარი შემოქმედი, როდესაც უაპელაციოდ, განსჯის გარეშე, იღებს სოციალურ და კულტურულ ნორმას,

გადოებრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ასპარეზზე“ (<https://georgianencyclopedia.ge/ka/form/19127>).

¹ კრებულში დაიბეჭდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე მნიშვნელოვანი ქალი ავტორების მხატვრული ტექსტები – ეკატერინე გაბაშვილის „სოფლის მეფახმენი“, საფო მგელაძის ლექსები: „ქარიშხლის ფრთებზე“, „ნაწყვეტი პოემიდან“, ლიდია მეგრელიძის „ახალი მემკვიდრე“, „დღეები ბორჯომში“, მარიჯანის „წიგნიდან შემთხვევითი თემები“, ნინო ნაკაშიძის „საღდათი“ და სხვ. ამავე დროს – ქალი მწერლების პუბლიცისტური წერილები და თარგმანები: <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/5385/1/samxatvro%2c%20saliteraturuli%20almanaxi.pdf>

სიამოვნებით სარგებლობს ყველა პრივილეგიით და ყოველგვარი პროტესტის, შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე, ურიგდება უსამართლო მოცემულობას, თავად ირგებს დომინანტის როლს, ქალისგან კი მორჩილებას მოითხოვს.

ბარბარე ჯორჯაძე: „**ორიოდ სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ**“:

„პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდენ „შენ, რადგანა შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს. **ხმაგაკმედილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ,...** სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“.

თითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: „**მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდე, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭევრმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო**“ (კვალი 1893: N 16).

მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ქალების მოძრაობამ გაცილებით მასშტაბური სახე მიიღო, აქტიურად დაიწყო ქალებისთვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისთვის ბრძოლის გამგზავნა, ქალთა პრობლემების ლობირება. ამ პროცესის სათავეში აღმოჩნდა კატო მიქელაძე, რომელიც ევროპული განათლებითა (ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და პარიზში ქალთა აქტივისტურ მოძრაობებში ჩართულობის გამოცდილებით, იწყებს თანამოაზრეთა შემოკრებას. იგი 1917-18 წლებში ქუთაისში აარსებს რეგიონულ ორგანიზაციას „ქალთა ლიგასა“ და პირველ ფემინისტურ ყოველკვირეულ პოლიტიკურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ გაზეთს „**ხმა ქართველი ქალისა**“. გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ მემარცხენე იდეების მიმდევრად მოგვევლინა, გაჟღერებული იყო ყველა ის აქტუალური საკითხი, რომელზეც დასავლელი ფემინისტები საუბრობდნენ, გაზეთი მოითხოვდა ქალებისთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას, მის მამაკაცთან უფლებრივ გათანაბ-

რებას, ქალთა საარჩევნო ხმის უფლების დაკანონებას და მონაწილეობას საკანონმდებლო საქმიანობასა და თვითმმართველობაში, ასევე, სახელფასო ანაზღაურების თანასწორობას თანაბარი შრომისთვის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სქესობრივი პრივილეგიების გაუქმებას, ორივე სქესის თანაბარი განათლების უფლებას და სხვ. ყოველ ნომერს გასდევს ქალთა უფლებების გამომხატველი და მათი გაერთიანების იდეის შემცველი მოწოდებები: „სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ქალებს“, „გაუმარჯოს ქალთა სოლიდარობას“, „ქალებო, მთელი ქვეყნისა, შეერთდით“, დევიზი – „თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა“
<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php>).

იბეჭდება სტატიები შემდეგი სათაურებით: „ქალებო, მოითხოვეთ ხმის უფლება“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, №2), „ქართველი ქალი დღევანდელ ოჯახში“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, №2).¹ „დედაკაცი – თავისუფალი მოქალაქე“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, №5) „მიეცით გზა ქალებს“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, №11) „მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, №19) „როგორ ვებრძოლოთ პროსტიტუციას?“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, №23) და ა.შ.²

ფემინისტური თემები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ქალი ავტორების ლიტერატურული დისკურსის განუყოფელ ნაწილად იქცა.³ სტატიაში ეკატერინე გაბაშვილის ავტობიოგრაფიული⁴ პიესის „ფრთებდაგლეჯილი“¹ მაგალითზე გან-

¹ გაზეთის შესახებ ვრცელი ინფორმაცია იხილეთ ზმულზე:

[https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90_\(%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98\)](https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90_(%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98))

² გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“ ყველა ნომერი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ კატალოგში: <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/34482?offset=20>

³ ფემინისტური პრობლემატიკაა გაანალიზებული შემდეგ ტექსტებში: მარიამ გარიყულის რომანში „ანარეკლი“, ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებში: „ორენა და ქუჩე“, „სოფლის მასწავლებელი“... საფო მგელაძის „ლიანა ლორდია“, „ქარიშხლის ფრთებზე“, „გზადაგზა“ და ა.შ.

⁴ მარიამ გარიყულისადმი მიწერილ წერილში ეკატერინე გაბაშვილი აღნიშნავს: „განა მე არ მიშლიდნენ ხელს შვილები ლიტერატურულ მუშაობაში? მიშლიდნენ და ძალიანაც მიშლიდნენ. ჩემი ერთმოქმედებიანი სცენა „ფრთებდაგლეჯილი“ სწორედ ამ

ვიხილავთ, როგორ იქნა გააზრებული ქართველი ქალი მწერლების ტექსტებში ფემინიზმის ერთ-ერთი ცენტრალური თემა – **ქალების შემოქმედებითი ემანსიპაცია**. საგულისხმოა, რომ ქართველმა ავტორმა თითქმის ორი ათეული წლით ადრე – 1912 წელს – დასვა კითხვა, რომელიც დასავლეთში პირველი ტალღის ფემინისტებისთვის (ვირჯინია ვულფი – „საკუთარი ოთახი“ 1929 წ.) საკვანძო პრობლემაა – **რატომ არ ისმის ქალის ხმა ლიტერატურაში?**²

ტექსტში წარმოდგენილია ორი განსხვავებული პერსპექტივა ქალის გენდერული ფუნქციის და თვითრეალიზაციის შესახებ. ერთი მხრივ, ქეთო – მწერალი ქალი – და მისი რედაქტორი, რომლებიც ტექსტში უმცირესობის აზრს წარმოადგენენ და მარგინალიზებულნი არიან. ქეთო საკუთარ თავს მამაკაცის თანასწორად აღიქვამს ინტელექტუალური და სოციალური თვალსაზრისით, მისი აზრით, ოჯახი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის დროისა და პროფესიის პატივისცემას. მეორე მხრივ, პატრიარქალური საზოგადოების პერსპექტივიდან (ქმარი ნიკო, დედამთილი – ბარბარე, მსახური ქალი – მელანია) სრულად უარყოფილია ქეთოს პროფესიული არჩევანი, სკეპტიკურადაა შეფასებული მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები. ქეთოს სოციალური და ეკონომიკური უფლებები მხოლოდ ფიქტიურადაა გათანაბრებული ნიკოსთან, თუმცა რეალურად მას არ აქვს „საკუთარი ოთახი“ და არაა აღიარებული არც მიკრო და არც მაკრო სივრცეში.

ქეთოს გარემოცვა მისგან ტრადიციული სოციალური და კულტურული ნორმის მიღებას მოითხოვს, რომლის მიხედვით, **„ჭეშმარიტი ქალი“ ნიშნავს მორჩილ პოზიციას**, ქალის გენდერული როლი კი

ნიდაგაზეა დაწერილი, მაგრამ რას ვიზამთ, ჩემო კარგო მარიამ! დედაკაცის ხვედრი ეს არის...“ (ფირცხალავა, 2014: <https://feminism-boell.org/ka/2014/06/04/mariam-gariquli>)

¹ ეკატერინე გაბაშვილის პიესა „ფრთებდავლეჯილი“ 1912 წელს დაიბეჭდა სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ მე-2 ნომერში: <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/546969>

² „ეკ. გაბაშვილი, როგორც ქალი-მწერალი, უპირველეს ყურადღებას აქცევს, რასაკვირველია, ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში. ხოლო ეს მდგომარეობა ყველაზე უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოხატულია იმ როლში, რომელიც ქალს მიანიჭა საზოგადოებამ ოჯახში, აქ ქალი მონაა უსიტყვო და უენო ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ბარბაროსული ჩვეულებისა. მისი თავი მას არ ეკუთვნის. მისი თვით არსებითი გრძნობა და ფიქრი ნიადაგ სხვის უფლებსა და განკარგულებაში უნდა იყოს“ – აღნიშნავს კიტა აბაშიძე კრებულში „ცხოვრება და ხელოვნება“ ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების ანალიზისას (აბაშიძე, 1971, გვ. 214).

უკიდურესად შეზღუდული და რეგლამენტირებულია, რაც მხოლოდ მამაკაცის მსახურებით, დიასახლისობითა და დედობით შემოიფარგლება.

ბარბარე (დედამთილი): „ვის გაუგონია, გეთაყვანეთ, გათხოვილი ქალი და გაზეთები, წერილები...“ (გაბაშვილი, 2021, გვ. 306)

მელანია – მსახური: „დიდი რამე მაგის ნაჯღაბნები თუ დაეწვი. ბატონი ტყუილად კი არ აყვედრის: სულ სწერ და სწერო, კითხულობო, სწერ და კითხულობო“ (პაუზა). ქალი უნდა ტახტზედ უნდა იჯდეს და მთელი დღე ქმარ-შვილს საკერავს უკერავდეს, სახლ-კარს უვლიდეს, შვილებს დასტრიალებდეს! ეგ კი სულ დუ, დუ, დუ!“ (გაბაშვილი 2021: 303).

მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ვირჯინია ვულფი თავის ესეში „საკუთარი ოთახი“ ქალების შემოქმედებითი ემანსიპაციისთვის პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, მიუთითებს ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე, ვინაიდან მამაკაცების მხრიდან საუკუნეების მანძილზე სწორედ ეკონომიკური ფაქტორი ხდებოდა ქალებზე მანიპულაციისა და დომინირების ბერკეტი. აღნიშნული სოციალური და კულტურული ნორმის ფარლებში მოქმედებს ნიკო, რომელიც პრივილეგირებული მდგომარეობის დემონსტრირებით, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას, მეორე მხრივ, კი ქეთოს ფინანსურ შეზღუდულობას მისდამი მოჩილების ინსტრუმენტად აქცევს:

ნიკო (ქმარი) - „ნიკო (ყვირის) როგორ თუ მაძებნინებ! მე და შენ ერთ ვართ? მაშ, სამსახურში რომ დავდივარ, ხუთ-ექვსს საათს ორად მოკაკული ვზივარ და ვწერ, ოცში რომ შრიალ-შრიალით ახალ-ახალს ასიგნაციებს ჩავითვლი ხოლმე, ამას პატივისცემა არ უნდა?“ (გაბაშვილი, 2021, გვ. 300).

ტექსტში ქეთო არ ემორჩილება დისკრიმინაციულ დისკურსს, რომელსაც მას საზოგადოება სთავაზობს. ვულფის დაკვირვებით, ნორმის წინააღმდეგ ქალის ნებისმიერი ამბოხი განწირულია განადგურებისთვის, შემოქმედებითი უნარი ქალებში, როგორ წესი, განიხილება გადახრად და ხდება მისი მარგინალიზაციის წინაპირობა, კუდიანად, შემლილად გამოცხადება (Woolf, 1929 გვ. 58).

რა ბედი ელის ქეთოს, გაივლის თუ არა ის შემოქმედი ქალის არქეტიპულ გზას? კულმინაციურ მომენტში თხრობის შეწყვეტით ამ კითხვას ავტორი უპასუხოდ ტოვებს. ბუნდოვანია ქეთოს, როგორც მწერლის, მომავალი, მოახერხებს თუ არა ის წინააღმდეგობის დაძლევას (მათ შორის უსაფუძვლო ბრალდებების – რედაქტორთან რომან-

ტიკული ურთიერთობის გაბმის შესახებ – იგნორირებას) და სოციალური მხრიდან მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, თვითრეალიზაციას. ჩვენი აზრით, ღია ფინალი ავტორის საგანგებო ჩანაწერად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ტოვებს სივრცეს ქეთოს შემოქმედებითი ემანსიპაციის პერსპექტივისთვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებში მოღვაწე ქართველი ქალი ავტორების პუბლიცისტური წერილების, პირადი მიმოწერის, ავტობიოგრაფიული ჩანაწერების, მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლისა და ამავე დროს ეკატერინე გაბაშვილის პიესის „ფრთხილად გლეჯილის“ ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველმა ქალებმა გამოიყენეს ყველა საზოგადოებრივი პლატფორმა თავიანთი სათქმელის გასაჟღერებლად. მართალია, ქალი მწერლების მიერ დასმული პრობლემების დიდი ნაწილი (ქალების დესაკრალიზაცია¹, ქალის გონებრივი შესაძლებლობებისა და მისი ფსიქო-ემოციური ბუნების მცდარი ინტერპრეტაცია, გენდერული როლების არასამართლიანი გადანაწილება²) გადაუჭრელი დარჩა, თუმცა მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ქალების ბრძოლა კონკრეტული შედეგით დასრულდა. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, 1919 წელს ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით კენჭს იყრიდა 17 ქალი, რომელთაგანაც 5 მათგანი – მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967), ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937), ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (1875-გარდაცვალების თარიღი უცნობია), ანა (ოლა) სოლოდაშვილი (1882-1937), ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე (1887-1973) – წევრად აირჩიეს. მათ-

¹ „ძალიან მიჭირს თავის შეკავება, როცა ვხედავ, როგორ იწყებს მამაკაცი მოწადინებულ და სერიოზული მზრუნველობით ქალისთვის ცხვირსახოცის მიწოდებას ან კარის დახურვას, როცა ქალბატონს შეუძლია ეს თავად გააკეთოს, თუ ხელს ოდნავ გაანძრევს“ (უილსონკრაფტი, 2017, გვ. 45).

წარმოსახვაში ქალი უმაღლესი არსებაა, პრაქტიკულად კი სრულიად უმნიშვნელო და შეუმჩნეველი. ის პოეზიის მთავარი გმირია, ის ყველაგანაა, ისტორიის გარდა. მხატვრულ ლიტერატურაში ქალი განაგებს მეფეებისა და დამპყრობლების ბედ-იღბალს; რეალობაში კი იმ კაცის მონაა, რომელიც თითზე ბეჭედს უკეთებს (Woolf, 1929, გვ. 33).

² „ქორწინება არის დანიშნულების პუნქტი, დადგენილი საზოგადოების მიერ ქალისთვის, პერსპექტივა, რომლისკენაც ისინი მიისწრაფიან, და მიზანი, რომელიც განზრახვის მიხედვით, ყველა მათგანისთვის სასურველი უნდა იყოს, გარდა ნაკლებად მიმზიდველებისა, რომელსაც არც ერთი მამაკაცი არ ირჩევს თანამგზავრად“ (მილი, 2021, გვ. 137).

გან ორი ქალი – ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე და ანა (ოლა) სოლო-
ლაშვილი – კონტრრევოლუციური საქმიანობისა და „მოვინისტური
განწყობილებების“ ბრალდებით 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ
დახვრიტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაშიძე, კ. (1971). „ცხოვრება და ხელოვნება“. თბილისი: თბილისის უნივერ-
სიტეტის გამომცემლობა.
- გაბაშვილი, ე. (2021). კონა – რჩეული ნაწარმოებები. თბილისი: „პალიტრა L“.
სერია „ქალების კალმით“.
- გაფრინდაშვილი, ლ. (2017). „წერა, ბედისწერა, ქალების მიმოწერა“:
<https://womensvoice.tsu.ge/index.php/WOM/article/view/1794/1155>,
- ინაშვილი, ნ. (1869). „ქალების გათავისუფლება ჯონ-სტიუარტ-მილლის თხზუ-
ლებთაგან“. ჟურნალი „მნათობი“, 5-6, 1869 [https://dspace.nplg.gov.ge/
bitstream/1234/384148/1/Mnatobi_1869_N5-6.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/384148/1/Mnatobi_1869_N5-6.pdf)
- მილი, ჯ. ს. (2021). „ქალთა დაქვემდებარება“. თარგმანი. სოციალიზმი, ქალ-
თა დაქვემდებარება. თბილისი: „iBooks“.
- მგელაძე, ს. (2025). „ჩემი ცხოვრების ნამდვილი ამბავი“. ქართული ფემინიზ-
მის უცნობი ისტორიები. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბი-
ლისის ოფისი.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: ბიოგრაფიული ლექ-
სიკონი (ნიკო ინაშვილი): <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00015250/>
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია: ქართული ენციკლოპედიის ი. აბაში-
ძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
<https://georgianencyclopedia.ge/ka/form/19127>
- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია:
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319229/1/Saqartvelos_Sabchota_S
ocialisturi_Respublikis_Konstitucia_1937.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319229/1/Saqartvelos_Sabchota_Socialisturi_Respublikis_Konstitucia_1937.pdf)
- უოლსტო უნქრაფტი, მ. (2007). „ქალთა უფლებების დაცვა“. თარგმანი. მთარგ-
მნელი თ. პატარიძე, სამეცნიერო რედაქტორი ნ. ბერეკაშვილი. გენდე-
რის საკითხავი ლიტერატურა. ქრესტომათია. თარგმანი. თბილისი:
სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (Center for Social Sciences).
- ფირცხალავა, ე. (2014). მარიამ გარიყული. თბილისი: ფემინიზმი და გენდე-
რული დემოკრატია.
https://feminism-boell.org/ka/2014/06/04/mariam-gariquli_2014
- ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო-სალიტერატურო ალმანახი 2: ტფილი-
სი, 1926 წელი:
[http://openlibrary.ge/bitstream/123456789/5385/1/samxatvro%2c%20saliter
aturuli%20almanaxi.pdf](http://openlibrary.ge/bitstream/123456789/5385/1/samxatvro%2c%20saliteraturuli%20almanaxi.pdf)

- ციციშვილი, თ. (2015). ქართული რეალიზმის სათავეებთან. ბარბარე ჯორჯაძე. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- წერეთელი, გ. (1866). „დედა-კაცის აზრი დედა-კაცებზედ“. გაზეთი „დროება“, 5, 1866, 1 აპრილი
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/151061/1/Droeba_1866_N5.pdf
- ჭავჭავაძე, ი. (1889). „დედათა საქმე და ქალთა განათლება“. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული (ციფრული გამოცემა).
<https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/12/13/dedatha-saqme-da-qaltha-ganathleba/>
- ხმა ქართველი ქალისა, ქუთაისი, 1917-1918 წწ.:
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/34482>
- ხომერიკი, ლ., ჯავახიშვილი, მ. (2005). ქალთა საზოგადოებების საქმიანობა საქართველოში. XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი.
- ჯორჯაძე, ა. (2022). „მუსაიფი „ქალია-ადამიანი?!“ მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე).
- ჯოჯაძე, ბ. (1893). „ორიოდ სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“, სამეცნიერო, სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი „კვალი“, 16. 1893
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/330759/1/Kvali_1893_N16.pdf
- Felski, R. (1989). „Beyond feminist aesthetics: Feminist literature and social change“, Harvard University Press. 1989.
<https://www.hup.harvard.edu/books/9780674068957>
- Woolf, V. (1929). „A room of one's own“. Alma Classics. 1929
<https://almabooks.com/wp-content/uploads/2018/10/room-of-ones-own.pdf>

References:

- Abashidze, K. (1971). Tskhovreba da shemokmedeba [Life and Art]. Tbilisi: Tbilisi University Press.
- Ch'avch'avadze, I. (1889). Dedata Sakme da Kalta Ganatleba [The Work of Mothers and the Education of Women]. Collected Works of Ilia Chavchavadze (digital edition).
<https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/12/13/dedatha-saqme-da-qaltha-ganathleba/>
- Felski, R. (1989). „Beyond feminist aesthetics: Feminist literature and social change“, Harvard University Press.
<https://www.hup.harvard.edu/books/9780674068957>
- Gabashvili, E. (2021). K'ona – rcheuli nats'armoebebi. [Kona – Selected Works]. Tbilisi: Publishing House "Palitra L". Series "With the Pen of Women".
- Gaprindashvili, L. (2017). Ts'era, Bedists'era, Kalebis Mimots'era. [Writing, Destiny, Women's Correspondence]:

- <https://womensvoice.tsu.ge/index.php/WOM/article/view/1794/1155>,
Inashvili, N. (1869). Kalebis Gatavisupleba Jon St'iuart' Milis Tkhzulebatagan. [The Liberation of Women from the Works of John Stuart Mill] (translated). N. Inashvili. Journal "Mnatobi", 5-6.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/384148/1/Mnatobi_1869_N5-6.pdf
- Jorjadze, A. (2022). Musaipi „Kalia Adamiani?!“. [The conversation 'Is a woman a human being?!']. The Formation of Left-Wing Writing in Georgia (at the Turn of the 19th-20th Centuries).
- Jojadze, B. (1893). Oriod Sit'y'va Y'mats'vil Kacebis Say'uradgebod [A Few Words for the Attention of Young Men]. Scientific, Literary Illustrated Newspaper "Kvali", 16.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/330759/1/Kvali_1893_N16.pdf
- Kartvel Mts'eral Kalta Samkhat'vto-salit'erat'uro Almanakhi 2. (1926). [Artistic and Literary Almanac of Georgian Women Writers 2]. Tiflis,
<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/5385/1/samxatvro%2c%20saliteraturuli%20almanaxi.pdf>
- Khomerik'i, L., Javakhishvili M. (2005). Kalta Sazogadoebebis Sakmianoba Sakartveloshi. XIX sauk'unis meore nakhevari da XX sauk'unis dasats'y'isi. [The Activities of Women's Societies in Georgia. The Second Half of the 19th Century and the Beginning of the 20th Century].
- Mill, J. S. (2021). Kalta Dakvemdebareba [The Subordination of Women]. Translation. Socialism, the Subordination of Women. Tbilisi: iBooks Publishing House.
- Mgeladze, S. (2025). Chemi Tskhovrebis Namdvili Ambavi [The True Story of My Life]. Unknown Stories of Georgian Feminism. Tbilisi: Heinrich Böll Foundation Tbilisi Office.
- Pirtskhalava, E. (2014). Mariam Gariq'uli. Feminizmi da Genderuli Demok'rat'ia [Mariam Gariquli. Feminism and Gender Democracy]. <https://feminism-boell.org/ka/2014/06/04/mariam-gariquli>
- Sabts'ota Sotsialist'uri Resp'ublik'is K'onst'it'itsia (1937). [Constitution of the Soviet Socialist Republic]:
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319229/1/Saqartvelos_Sabchota_Socialisturi_Respublikis_Konstitucia_1937.pdf
- Sakartvelos Metssnierebata Ak'ademia: Kartuli Entsik'op'ediis I. Abashidzis Sakhe-lobis Mtavari Sametsniero Redaktsia. [Georgian Academy of Sciences: I. Abashidze Main Scientific Editorial Board of the Georgian Encyclopedia]. <https://georgianencyclopedia.ge/ka/form/19127>
- Sakartvelos P'arlament'is Erovnuli Bibliotek'a: Biografiuli Leksik'oni (Nik'o Inashvili). [National Library of the Parliament of Georgia: Biographical Dictionary (Niko Inashvili)]: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00015250/>

- Tsitsishvili, T. (2015). *Kartuli Realizmis Sataveebtan*. Barbara Jorjadze [At the origins of Georgian realism]. Barbara Jorjadze. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. TSU Publishing House.
- Ts'ereteli, G. (1866). *Dedakatsis Azri Dedakatsebzed* [The Opinion of a Mother-Man About Mother-Man]. Newspaper "Droeba", 5, 1866, April 1
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/151061/1/Droeba_1866_N5.pdf
- Uollst'o Unkrapti, M. (2007). *Kalta Uplebebis Datsva*. [The Defense of the Rights of Women]. Translation. Translator T. Pataridze, scientific editor N. Berekashvili. Gender Reading Literature. Chrestomathy. Translation. Center for Social Sciences.
- Voice of a Georgian Woman, Kutaisi, 1917-1918:
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/34482>
- Woolf, V. (1929). *Sakutari Otakhi* [A room of one's own]. Alma Classics.
<https://almabooks.com/wp-content/uploads/2018/10/room-of-ones-own.pdf>